

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2016 წლის 27 დეკემბერი

ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დანათის შესაბამისად;

მუხლი 2

ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 25 დეკემბრის N64 დადგენილება;

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 01 იანვრიდან.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

დანართი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი
თავი I
თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| შემოსავლები | 10,696.11 | 3,838.77 | 6,857.34 | 11,215.44 | 3,678.16 | 7,537.28 | 6,834.30 |
| გადასახადები | 1,931.30 | 0.00 | 1,931.30 | 2,918.83 | 0.00 | 2,918.83 | 3,550.00 |
| გრანტები | 7,957.57 | 3,838.77 | 4,118.80 | 7,412.91 | 3,678.16 | 3,734.75 | 2,270.60 |
| სხვა შემოსავლები | 807.24 | 0.00 | 807.24 | 883.70 | 0.00 | 883.70 | 1,013.70 |
| | | | | | | | |



| | | | | | | | |
|------------------------------------|----------|----------|----------|-----------|----------|----------|----------|
| ხარჯები | 6,134.09 | 78.69 | 6,055.40 | 7,128.36 | 30.17 | 7,098.19 | 6,522.30 |
| შრომის ანაზღაურება | 1,703.18 | 0.00 | 1,703.18 | 1,825.60 | 0.00 | 1,825.60 | 1,650.50 |
| საქონელი და მომსახურება | 1,960.88 | 78.69 | 1,882.19 | 2,176.09 | 30.17 | 2,145.91 | 1,851.40 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| პროცენტი | 57.68 | 0.00 | 57.68 | 46.20 | 0.00 | 46.20 | 33.20 |
| სუბსიდიები | 1,940.20 | 0.00 | 1,940.20 | 2,397.74 | 0.00 | 2,397.74 | 2,441.10 |
| გრანტები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 415.50 | 0.00 | 415.50 | 564.33 | 0.00 | 564.33 | 469.60 |
| სხვა ხარჯები | 56.64 | 0.00 | 56.64 | 118.41 | 0.00 | 118.41 | 76.50 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 4,562.03 | 3,760.09 | 801.94 | 4,087.07 | 3,647.99 | 439.08 | 312.00 |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3,885.77 | 3,740.67 | 145.10 | 5,071.10 | 3,812.51 | 1,258.58 | 196.70 |
| ზრდა | 4,298.36 | 3,740.67 | 557.69 | 5,644.17 | 3,812.51 | 1,831.66 | 646.70 |
| კლება | 412.59 | 0.00 | 412.59 | 573.08 | 0.00 | 573.08 | 450.00 |
| | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | 676.26 | 19.41 | 656.84 | -984.02 | -164.52 | -819.50 | 115.30 |
| | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 558.88 | 19.41 | 539.47 | -1,090.96 | -164.52 | -926.44 | 0.00 |
| ზრდა | 558.88 | 19.41 | 539.47 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 558.88 | 19.41 | 539.47 | 0.00 | | | 0.00 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სესხები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |



| | | | | | | | |
|--|---------|------|---------|----------|--------|---------|---------|
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1,090.96 | 164.52 | 926.44 | 0.00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.00 | | | 1,090.96 | 164.52 | 926.44 | 0.00 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სესხები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -117.38 | 0.00 | -117.38 | -106.94 | 0.00 | -106.94 | -115.30 |
| ზრდა | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| საგარეო | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| საშინაო | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება | 117.38 | 0.00 | 117.38 | 106.94 | 0.00 | 106.94 | 115.30 |
| საგარეო | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| საშინაო | 117.38 | 0.00 | 117.38 | 106.94 | 0.00 | 106.94 | 115.30 |
| | | | | | | | |
| ბალანსი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| | | | |
|--|-----------------|-----------------|-------------------|
| | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის პროექტი |
|--|-----------------|-----------------|-------------------|



| დასახელება | მათ შორის | | | მათ შორის | | | სულ |
|--|------------------|---|----------------------|------------------|---|----------------------|-----------------|
| | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| | | | | | | | |
| შემოსულობები | 11,108.70 | 3,838.8 | 7,269.93 | 11,788.52 | 3,678.2 | 8,110.35 | 7,284.30 |
| შემოსავლები | 10,696.11 | 3,838.8 | 6,857.3 | 11,215.44 | 3,678.2 | 7,537.3 | 6,834.30 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 412.59 | 0.0 | 412.6 | 573.08 | 0.0 | 573.1 | 450.00 |
| გადასახდელები | 10,432.45 | 3,819.4 | 6,613.09 | 12,772.54 | 3,842.7 | 8,929.85 | 7,169.00 |
| ხარჯები | 6,134.09 | 78.7 | 6,055.4 | 7,128.36 | 30.2 | 7,098.2 | 6,522.30 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,298.36 | 3,740.7 | 557.7 | 5,644.17 | 3,812.5 | 1,831.7 | 646.70 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.00 | | | 0.00 | | | 0.00 |
| ვალდებულებების კლება | 117.38 | 0.0 | 117.4 | 106.94 | 0.0 | 106.9 | 115.30 |
| ნაშთის ცვლილება | 558.88 | 19.41 | 539.47 | -1,090.96 | -164.52 | -926.44 | 0.00 |

მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6834,3 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| შემოსავლები | 10,696.11 | 3,838.77 | 6,857.34 | 11,215.44 | 3,678.16 | 7,537.28 | 6,834.30 |
| შემოსავლები | 10,696.11 | 3,838.77 | 6,857.34 | 11,215.44 | 3,678.16 | 7,537.28 | 6,834.30 |
| გადასახადები | 1,931.30 | 0.00 | 1,931.30 | 2,918.83 | 0.00 | 2,918.83 | 3,550.00 |
| გრანტები | 7,957.57 | 3,838.77 | 4,118.80 | 7,412.91 | 3,678.16 | 3,734.75 | 2,270.60 |
| სხვა შემოსავლები | 807.24 | 0.00 | 807.24 | 883.70 | 0.00 | 883.70 | 1,013.70 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3550,0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|---|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| გადასახადები | 1,931.30 | 0.00 | 1,931.30 | 2,918.83 | 0.00 | 2,918.83 | 3,550.00 |
| საშემოსავლო გადასახადი | | | | 804.63 | | 804.63 | 1,100.00 |
| ქონების გადასახადი | 1,931.30 | 0.0 | 1,931.30 | 2,114.20 | 0.00 | 2,114.20 | 2,450.00 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 716.57 | | 716.57 | 1,154.20 | | 1,154.20 | 1,300.00 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 13.02 | 0.0 | 13.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 728.44 | 0.0 | 728.44 | 585.00 | 0.00 | 585.00 | 700.00 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 473.03 | 0.0 | 473.03 | 375.00 | 0.00 | 375.00 | 450.00 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0.25 | | 0.25 | 0.00 | | | 0.00 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2270,6 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|--|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| გრანტები | 7 957,57 | 3 838,77 | 4 118,80 | 7 412,91 | 3 678,16 | 3 734,75 | 2 270,60 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 7 957,57 | 3 838,77 | 4 118,80 | 7 412,91 | 3 678,16 | 3 734,75 | 2 270,60 |
| ბიუჯეტით | | | | | | | |



| | | | | | | | |
|---|----------|----------|----------|----------|------------|----------|----------|
| გათვალისწინებული ტრანსფერები | 4 118,80 | 0,00 | 4 118,80 | 3 720,00 | 0,00 | 3 720,00 | 2 270,60 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 3 994,80 | | 3 994,80 | 3 590,00 | | 3 590,00 | 2 140,60 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 124,00 | | 124,00 | 130,00 | | 130,00 | 130,00 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 3 838,77 | 3 838,77 | 0,00 | 3 692,91 | 3 678,16 | 14,75 | 0,00 |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 2 927,70 | 2 927,70 | | 2 716,17 | 2 716,1670 | | 0,00 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 911,07 | 911,07 | | 962,00 | 962,00 | | 0,00 |
| თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 0,00 | | | 14,75 | | 14,75 | 0,00 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1013,7 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|--------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| სხვა შემოსავლები | 807.24 | 0.00 | 807.24 | 883.70 | 0.00 | 883.70 | 1,013.70 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 305.54 | 0.00 | 305.54 | 350.00 | 0.00 | 350.00 | 330.00 |
| პროცენტები | 43.91 | | 43.91 | 75.00 | | 75.00 | 80.00 |
| რენტა | 261.63 | 0.00 | 261.63 | 275.00 | 0.00 | 275.00 | 250.00 |



| | | | | | | | |
|--|--------|------|--------|--------|------|--------|--------|
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 253.98 | | 253.98 | 270.00 | | 270.00 | 250.00 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან | 7.65 | | 7.65 | 5.00 | | 5.00 | 0.00 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 68.80 | 0.00 | 68.80 | 129.70 | 0.00 | 129.70 | 129.70 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 66.07 | 0.00 | 66.07 | 123.70 | 0.00 | 123.70 | 123.70 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 32.33 | | 32.33 | 20.00 | | 20.00 | 20.00 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.05 | | 0.05 | 0.10 | | 0.10 | 0.10 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2.80 | | 2.80 | 3.60 | | 3.60 | 3.60 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 30.89 | | 30.89 | 100.00 | | 100.00 | 100.00 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 2.74 | 0.00 | 2.74 | 6.00 | 0.00 | 6.00 | 6.00 |
| შემოსავლები მომსახურების გაწვიდან | 2.74 | | 2.74 | 6.00 | | 6.00 | 6.00 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 426.75 | | 426.75 | 400.00 | | 400.00 | 550.00 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 6.15 | | 6.15 | 4.00 | | 4.00 | 4.00 |

მუხლი 7. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6522,3 ათასი ლარის ოდენობით:

| | | | |
|--|-----------------|-----------------|-----------|
| | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2017 წლის |
|--|-----------------|-----------------|-----------|



| დასახელება | მათ შორის | | | | | | პროექტი |
|-------------------------|-----------|---|----------------------|---------|---|----------------------|---------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| ხარჯები | 6 134,1 | 78,7 | 6 055,40 | 7 128,4 | 30,17 | 7 098,2 | 6,522.3 |
| შრომის ანაზღაურება | 1 703,2 | 0,0 | 1 703,18 | 1 825,6 | 0,00 | 1 825,6 | 1,650.5 |
| საქონელი და მომსახურება | 1 960,9 | 78,7 | 1 882,19 | 2 176,1 | 30,17 | 2 145,9 | 1,851.4 |
| პროცენტი | 57,7 | 0,0 | 57,68 | 46,2 | 0,00 | 46,2 | 33.2 |
| სუბსიდიები | 1 940,2 | 0,0 | 1 940,20 | 2 397,7 | 0,00 | 2 397,7 | 2,441.1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 415,5 | 0,0 | 415,50 | 564,3 | 0,00 | 564,3 | 469.6 |
| სხვა ხარჯები | 56,6 | 0,0 | 56,64 | 118,4 | 0,00 | 118,4 | 76.5 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 196,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 646,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2015 წლის faqti | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|--------------------|---|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 74,54 | 0,00 | 74,54 | 125,00 | 0,00 | 125,00 | 45.00 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 15,00 | 0,00 | 15,00 | 21.50 |
| | ინფრასტრუქტურის | | | | | | | |



| | | | | | | | | |
|----------|--|---------|---------|--------|---------|---------|---------|--------|
| 03 00 | მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 3994,95 | 3712,33 | 282,62 | 4682,63 | 3812,51 | 870,12 | 340,20 |
| 04 00 | განათლება | 95,73 | 0,00 | 95,73 | 378,89 | 0,00 | 378,89 | 126,00 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 133,15 | 28,34 | 104,80 | 442,65 | 0,00 | 442,65 | 114,00 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სულ ჯამი | | 4298,36 | 3740,67 | 557,69 | 5644,17 | 3812,51 | 1831,66 | 646,70 |

ბ) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 450,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი |
|------------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 412,6 | 0,0 | 412,59 | 573,08 | 0,00 | 573,08 | 450,00 |
| ძირითადი აქტივები | 0,0 | | | 8,70 | | 8,70 | 0,00 |
| მატერიალური მარაგები | 0,0 | | | 0,0 | | | 0,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 412,6 | 0,0 | 412,59 | 564,38 | 0,00 | 564,38 | 450,00 |
| მიწა | 412,6 | | 412,59 | 564,38 | | 564,38 | 450,00 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| ორგანიზაციული დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | 2016 წლის გეგმა | | 2017 წლის პროექტი |
|--------------------------|-----------------|--|-----------------|--|-------------------|
| | მათ შორის | | მათ შორის | | |
| | | | | | |



| კოდი | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ |
|-------|---|---------|---|----------------------|---------|---|----------------------|---------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2 406,3 | 0,0 | 2 406,3 | 2 761,0 | 0,0 | 2 761,0 | 2,421.7 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2 406,3 | 0,0 | 2 406,3 | 2 714,8 | 0,0 | 2 714,8 | 2,388.5 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2 406,3 | 0,0 | 2 406,3 | 2 690,0 | 0,0 | 2 690,0 | 2,348.5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 24,8 | 0,0 | 24,8 | 40.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 46,2 | 0,0 | 46,2 | 33.2 |
| 702 | თავდაცვა | 117,2 | 0,0 | 117,2 | 133,6 | 0,0 | 133,6 | 128.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 986,5 | 1 836,6 | 149,9 | 3 447,9 | 3 029,7 | 418,2 | 50.0 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 225,9 | 217,1 | 8,7 | 166,7 | 128,0 | 38,7 | 0.0 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 225,9 | 217,1 | 8,7 | 166,7 | 128,0 | 38,7 | 0.0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 842,4 | 701,2 | 141,2 | 2 311,0 | 1 938,5 | 372,5 | 50.0 |
| 70451 | სავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 842,4 | 701,2 | 141,2 | 2 311,0 | 1 938,5 | 372,5 | 50.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 918,3 | 918,3 | 0,0 | 970,2 | 963,2 | 7,0 | 0.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 669,2 | 500,1 | 169,1 | 240,5 | 0,0 | 240,5 | 144.8 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 661,8 | 500,1 | 161,7 | 182,8 | 0,0 | 182,8 | 144.8 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 7,4 | 0,0 | 7,4 | 57,7 | 0,0 | 57,7 | 0.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 2 539,0 | 1 454,4 | 1 084,6 | 2 257,3 | 813,0 | 1 444,3 | 1,131.2 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 3,7 | 0,0 | 3,7 | 30,5 | 0,0 | 30,5 | 0.0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 2 080,4 | 1 454,4 | 626,1 | 1 781,7 | 813,0 | 968,7 | 590.0 |
| 7064 | გარე განათება | 405,8 | 0,0 | 405,8 | 330,3 | 0,0 | 330,3 | 459.2 |



| | | | | | | | | |
|-------|--|---------|------|---------|---------|-----|---------|---------|
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 49,0 | 0,0 | 49,0 | 114,8 | 0,0 | 114,8 | 82,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 17,6 | 0,0 | 17,6 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 0,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 17,6 | 0,0 | 17,6 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1 022,8 | 28,3 | 994,5 | 1 562,7 | 0,0 | 1 562,7 | 1,213.6 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 321,5 | 28,3 | 293,1 | 750,4 | 0,0 | 750,4 | 415.2 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 630,6 | 0,0 | 630,6 | 745,3 | 0,0 | 745,3 | 753.3 |
| 7083 | ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 25,0 | 0,0 | 25,0 | 21,5 | 0,0 | 21,5 | 30,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 43,8 | 0,0 | 43,8 | 45,5 | 0,0 | 45,5 | 15.1 |
| 709 | განათლება | 1 223,1 | 0,0 | 1 223,1 | 1 716,7 | 0,0 | 1 716,7 | 1,534.6 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 223,1 | 0,0 | 1 223,1 | 1 711,7 | 0,0 | 1 711,7 | 1,523.6 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 11,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 450,7 | 0,0 | 450,7 | 649,8 | 0,0 | 649,8 | 545.1 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 7,9 | 0,0 | 7,9 | 29,1 | 0,0 | 29,1 | 26.4 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 7,1 | 0,0 | 7,1 | 17,0 | 0,0 | 17,0 | 16,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,8 | 0,0 | 0,8 | 12,1 | 0,0 | 12,1 | 10.4 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 8,2 | 0,0 | 8,2 | 0,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 105,3 | 0,0 | 105,3 | 99,9 | 0,0 | 99,9 | 101.2 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 17,4 | 0,0 | 17,4 | 26,4 | 0,0 | 26,4 | 20,0 |



| | | | | | | | | |
|------|---|----------|---------|---------|----------|---------|---------|---------|
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 282,6 | 0,0 | 282,6 | 348,3 | 0,0 | 348,3 | 271,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 37,6 | 0,0 | 37,6 | 137,9 | 0,0 | 137,9 | 126,5 |
| | სულ | 10 432,4 | 3 819,4 | 6 613,1 | 12 772,5 | 3 842,7 | 8 929,9 | 7,169.0 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -115,3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -115,3 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 130,0 ათ.ლარი მიიმართოს:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 128,0 ათ. ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



თავი II

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება-ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოასფალტება, მოხრეშვა და მოასფალტებული გზის საფარის ორმოული შეკეთება.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების გაზრდილი მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების, წყალმომარაგების და არსებული საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების ინტენსივობის გაუმჯობესება, განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის გაზრდილი მაჩვენებელი;

განათებული ქუჩების და სკვერების გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის მაჩვენებელი.

ბ.ა) სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03



თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის (განსაკუთრებით ნისლიანი და მოყინული გზების პირობებში) აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციისა და შეძლებისდაგვარად ახალი კვანძების მოწყობის ხარჯები.

ბ.გ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები - მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, მყარი ნარჩენების გატანა.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან და ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფალოების მოვლა-პატრონობას.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან და ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბალების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბალების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი:

აღსაზრდელო და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამალგება;

მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი:



ბავშვების რაოდენობის ზრდა;

მოწესრიგებული საბავშვო ბაღების გაზრდილი რაოდენობა.

ა.ა) ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბავშვ-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბავშვ-ბაღი : სოფ.აკურის ბავშვ-ბაღი, სოფ. ვანთის ბავშვ-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბავშვ-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდამის ბავშვ-ბაღი, სოფ. კონდოლის ბავშვ-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბავშვ-ბაღი, სოფ. კისისხევის ბავშვ-ბაღი, სოფ. გულგულის ბავშვ-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბავშვ-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბავშვ-ბაღი, სოფ. რუისპირის ბავშვ-ბაღი, სოფ. იყალთოს ბავშვ-ბაღი, სოფ. სანიორის ბავშვ-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბავშვ-ბაღი, სოფ. ფშავლის ბავშვ-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბავშვ-ბაღი, სოფ. ართანის ბავშვ-ბაღი, სოფ. შალაურის ბავშვ-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბავშვ-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბავშვ-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბავშვ-ბაღების გაერთიანება“-ში. საბავშვო ბაღების აღსაზრდელობისთვის შექმნილია ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის. ერთ-ერთ პრიორიტეტს ბავშვ-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა საბავშვო კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, დაგეგმილია სააღმზრდელო პროცესის განვითარებისათვის და ხელშეწყობისათვის საჭირო ინვენტარის და სააღმზრდელო ლიტერატურის განახლება. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურის განახლებას.

ბ) საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არქეოლოგიით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების აჭარაში, გონიო - აფსაროსი (რომაული ხანა) არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მიღება უცხოელ სტუდენტებთან და არქეოლოგებთან ერთად.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს, შესაბამისად თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.



მოსალოდნელი შედეგი:

სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები;

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება პერსპექტიული სპორტსმენებით;

მოწესრიგებული სპორტული და დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი:

სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა;

სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

მუნიციპალიტეტის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი;

ა.ა) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

